— ვამდე, კუდი ჩირდახში ავარდა, — დაიყვირა ანნიმ და კარები გამოიკეტა.

მან ძალის ბანჯლელიანი კული დაინახა, რომლის გვერ-დით ჭინჯა იწვა: თურმე შავ ხუჭუჭ თმანით თავი სრულებითაც ისეთი დიდი არ იყო და არც საშიში. პირ იქით ლამაზიც იყო. როდესაც პასტორი დაიღუნა, ტომაზინამ მისს ბეტტის ხელი მოჰკიდა. მისს ბეტტიმ თავისი ჩანთა მაგრათ დაიჭირა და ელო-და საქმე რითი გათავლებოდა.

შეშინების და ცვირილის მაგივრათ გაკვირვებული პასტო-რის ხმა მოისხა.

— ჯონ ბრუმ!.. შენა ხარ?.. გამარჯობა! კარგა გიფიქრ-ნია რომ დაბრუნებულხარ! ღმერთმა დაგლოცოს!

ზოგჯერ ისეთი შემთხვევაა, რომელიც ძნელათ გამოითქმება და გული-კი გრძნობს დიდ სიხარულს. სწორეთ ასეთი შემთხვევა იყო ყმაწევილის დაბრუნება ამათ ოჯახში.


მეცხვარის ძალში კარგა ხანია იგრძნო რა სიხარულიც მოელოდა ყველას. კოკის რა დამეართა ძნელი ასაწერია. ის ჩხაოდა, ყვიროდა, იცინოდა, ცეკვამდა. საჭმლის და წყლის ჯამი გადააბრუნა და ისე საზარლათ კივოდა, რომ მისს ბეტ-ტიმ თავზე ცხეირსახოცი გადააფარა. ჯონი თავის საქციელის გასასწორებლათ კეთილ სულათ მოეჩვენა ოჯახს, როგორც წალხში თქმულობა იყო. მაკ-ალექსიტერის, კეთილი და პატიო-სანი აღამიანის ხსენებამ ძალა მისკა და გაამხნევა, რომ ძნელი საქმე შეესრულებინა. იმას იმდენი სწავლა უნდა შეეძინა, რაც საჭირო იყო მამულის მოსავლელათ და მისი სრული განვითარებისთვის და ამისთვის ყმაწევილი თავს არა ზოგავდა.

თბილ დღეებში, როდესაც თუთიყუშს გარეთ გამოიყვანდენ, მისს ბეტტიმ არა ერთხელ შეამჩნია, რომ ჯონი გვერდით მოუჯდებოდა და თუთიყუში კი გულში ეკროდა, თითქოს რაღასაც ქრისტიულებოდა. მისს ბეტტის ეგონა, რომ ურინველს თავის სამშობლოს ამბავს ჰკიოხავს და იქნება. ორივეს წარსული ოცნებათ შიაჩნდათ.

ეკ. მესხი.

(თარგმანი).





Ե Ռ Ո Յ Ծ Ո.



ոռօց, մշտա, ամապա յալու ոսկ։ Հա սամապաց է վանճա. մամա մուսո բանքալո, լմերտեծու մուգմոցո և կրութարո ոսկ. յմարմա մուսմա ամբո՞մի, տցուտ մուշեծուսացան մուլու սալսեռու յնարո, Հա տցուտ կո ոսկ մուլուծելու ուղմծավրցու սաելումթույունու.

Ճարճա ամուս ոսկ մալալու ցոնցեծուս Հա ուշուատու և ուղամանուսա. նոռօց տացուսու տոտեմցը Շցուլուտայ ամապածա. Շցուլու յալու չպացա Հա Շցուլու զայո. տացու ծեղնոյր գուդատ մուհնճա Հա մարտլաց ոյնցեծուծա ծեղնոյրո, հոմ տցուտոն առ յամապա ամուտո.

Ամ սոսմապայ Հա տացմումթոնցը բամ ճակլուցու նոռօց. յուրա եղլ, յալայիս յիշիցեմի ցամոհնճա մանքու, տորչիս յալու, աման Շցէյրունա յալուն Հա ուծրհանա Շցէյրունա մենցերէլու լուցասատցուս Հա մուս Շցուլուծուսատցուս աշոլոն Հա արւոյմունուսատցուս. հուցցաց պայլանու Շցցրուցցեն, նոռօց մոցուդա. մուգուդունատ հօպմուլու ու սուլամանուտ լուտայեծան ինացավածա.

Ճածրանցեծուլոմա անցու մալլա ամապա տացու, մոցուդա յալուծոն Հա ուշութա:

— Հասա և հաջուսարու, ումեցարնո, տյզեն Շորուս առուս յալու, լմերտեծուսացան ուշեալ Հա չուլուցուցուլո. մամա հիմու բանքալո, լմերտեծուն յուրած նուս յուր և յուրանչյ. գուդա հիմու գունոնց, հիմու գունու-կաս ամյուծեն; հիմու վինաձարուա-արլասու, հոմելուսաց տացուս մերկցից ուշուրացս մույլու կա, հիմու ծածոյա- տցուտ մյցեսո. հիմու յալայիս յալմի Հա ուշուալացու եալու

ემორჩილება ჩემი ერთი ხელის გაქნევის. მე ვარ დედა ისეთი შეიღებისა, როგორიც არც ერთ დედას არა ჰყავს. მე მყავს შეიდი ვაუკაცი და შეიდი უშმვენიერები ქალი.

განა არა მაქვს საამაყო და თქვენ კი თაყვანსა სცემთ ლეტას, უცნობ ქალს. მას მხოლოდ ორი შეილი ჰყავს. საბრალო, ვინ იტყვის, ან ეჭვს შეიტანს, რომ მე უფრო მნიშვნელოვანი ვარ, ვიდრე ის. მოშორდით თქვენ მსხვერპლებს, დაბრუნდით სახლებში, დაანებეთ თავი მაგ სისულელეს.

ამას ამბობდა ნიობე. შეშინებულმა ქალებმა მოიხსნეს გვირგვინები. მოწყენილები დაბრუნდნენ თავიანთ სახლში.

ამ დროს ლეტა იდგა კინთოსის მწვერვალზე და ხედავდა ყოველისფერს. ცრემლები მოადგა თვალებზე. შეილებს მიუბრუნდა და უთხრა:

შეილებო, მე შეურაცყოფილი ვარ, თქვენ უნდა დამეხმაროთ. თქვენც შეურაცყოფას მოგაყენებთ ნიობე, მისი შეილები თქვენ გაჯობებენ.

დედას უნდოდა კიდევ გაეგრძელებინა სიტყვა, მაგრამ აპოლონმა შეიჩრა; „დედა, ნუ ლაპარაკობ მაგრე, ის იქნება დასჯილი“.

ლეტამ თავი დააქნია თანხმობის ნიშალ, აპოლონი და არტემიდა, ლრუბლებში გახვეულნი გაეშურენ ქალაქ კადმისაკენ.

იქ იყო დიდი მოედანი, სადაც ვარჯიშობდენ, აქ ერთობოდენ სამხედრო თამაშობით, აქ ჯირითობდნენ.

ნიობეს შეიდივე ვაუ იყვნენ მოედანზე. ზოგი დააჭინებდა ცხენებს, ზოგი ჭიდაობდა, ზოგი ისროლდა რგოლს. უმფროსი შეილი ისმენი ცხენზედ იჯდა. უცებ დასუსტდა, გაუვარდა ხელიდან ცხენის აღვირი და ის უსიტყვოთ დაეშვა მიწაზე, აპოლონის ისარი მოხვდა გულში. ძმამ მისმა, სილლამ, რო გაიგო ისრის ხმა, გაიქცა, რათა თავი დაეხწია უხილავ მსროლელისაგან. მაგრამ მასაც დაეწია ისარი, იქვე წაიქცა და მოირწყო მიწა სისხლით.

ტანტალი და ფაიდიმი იქვე ჭიდაობდენ. მათაც მოასწრო ისარმა და ორთავენი გახვრიტა. მეხუთე ვაუი, ალვენორი, მივარდა ძმებს და ცდილობდა მოებრუნებინა ორთავენი, ისიც იქვე დაეცა, სისხლის მორევში.

დამაზიტონი ამ დროს ცდილობდა ამოეძრო მუხლიდან ისარი, ამასაც მოუსწრო კიდევ ისამა და ესეც დაეცა. თან მოიყოლა უნცროსი ძმა, ილიონი. ილიონმა ასწია ხელები და ევედრებოდა ღმერთებს! ღმერთებო, შემიბრალეთ, ნუ მომკლავთ.

უგულოსაც შეებრალებოდა პაწია, შაგრამ გვიანდა იყო, პაწია დაეცა მკვდარი. ასე დაილუპნ ნიობეს ვაეცინ.

საშინელი ამბავი აცნობეს მათ მამას, მან რომ გაიგო, გაგიუდა და გაიგმირა გული მახვილით.

ამ ამბავმა მიახწია ქალებამდისაც. ნიობეს ვერ გაეგო რა დაატყდა თავს. ვერ დაეჯერებინა, რომ ღმერთები ამას გაბედავდნენ.

რო დარწმუნდა, საშინელის ტირილით გაიქცა მოედანზე შეიღების გვამებთან. კოკნით ცდილობდა გაეცოცხლებინა ისინი. ბოლოს, ამართა ხელები: დასტები ჩემის ტანჯვით, საშინელო ლეტავ. ეხლა მეც მოვკვდები.

შეიღოვე ქალი იდგა იქვე, თმა გაშლილები, ძმების უბედურობით. მათ დანახეაზე სახე გაუბრწყინდა ნიობეს. ამაყათ შეხედა ცას და სთქვა:

„მაინც ჩემ უბედურებაშიაც შენზედ ბედნიერი ვარ“.

ჯერ კიდევ ვერ დაემთავრებინა სიტყვა, რომ ერთ ერთი ქალი წაიქცა, მასაც მოხვდა გულში ისარი. მიეშველა და ისიც მოჰკლა ვიღაცას ისარმა.

დაილუპნენ ამ გვარათ ექვსნი, მხოლოდ უნცროსის გადარჩენა დააპირა დედმ, ეს დამიტოვეთ, მხოლოდ ეს, ევედრებოდა საბრალო დედა, მაგრამ ისიც დაეცა უსულოთ.

ნიობე იდგა უსიტყვოთ, უცებ თვალი გაუჩერდა, გათეთრდა, ხელი და ფეხი გაუშეშდა—ის გაქვდა, მხოლოდ თვალებიდან გაღმოსდიოდა ცრემლები.

მძლავრმა ქარმა გადიტანა ეს ქანდაკება ნიობეს უწინდელ სამშობლოში.

ა. ფ.



ქვეპნელის ხალხი და მზის უავი სხივები.



I.



იდი ხნის ამბავს მოგახსენებთ,
როდესაც ქვეყნიერებაზე ჯერ
არც ადამიანი იყო გაჩენილი და არც
თუ სხვა რამ ცხოველი, სცხოვრობ-
დნენ მხოლოდ უყვავილო მცნარენი:
ხავი, შეიტა და უზარ-მაზარი გვიმ-
რა-ჩადუნები. მაშინდელი ჩადუნის
ტყე მოგაგონებსთ დღევანდელ ტყის
ხეებს. ჩადუნა ვითარდებოდა, იზრდე-
ბოდა მაღალი, ტან-სქელი და ხესაებ მაგარი.

მთელი ცისმარე დღე მზის ცხოველ მყოფელი ნაპერწკ-
ლები სხივე?ი ასაზრდოებდენ, უხვად აძლევდენ სითბო-სინათ-
ლეს. ამით ჩადუნები, ბუნების ეს პირმშო შეილები, ძლიერ
ჩქარა იზრდებოდენ, ვითარდებოდენ — ხარბად ჰყლაპავდენ (მო-
ცილე არ ჰყავდათ) მზის სინათლეს და გარდაქმნიდენ მწვანე
ფოთლებად, ტოტებათ და ლეროებათ.

ასე ხარობდა, მზეს შეპხაროდა ჩადუნის ტყე, ვიდრე არ
დაუდგათ აღსასრულის დღე. მოესპოთ ჩადუნებს სიცოცხლე,
მათი მსხვილი ტანი და ტოტები მიწაში ჩაიმარხა და აქ, დე-
დამიწის სილრმეში, ჩადუნას გვამი თან-და თან გადაქმნა რა-
ღაც უცნაურ ცხიმიან ნივთიერებად. — ამ გვარი გარდაქმნა
დღესაც ხდება ჩვენს თვალშინ ბუნების წიაღში.

ფინლიანდიაში (ფინეთი) და სხვა ჩრდილო ქვეყნებში
დღესაც მრავლათ შეხვდებით ამომშრალ გუბეებს, სადაც ჩამა-
რხულ ჩადუნებს შეუქნია ერთგვარი საწვავი ნივთიერება, რო-
მელსაც ტორფი ჰქვიან. ეს არის რბილი და ნოტიოთი გაუ-

ღენოსილი მცენარეული ბელტები*), იმისთანა გუბე-ჭაობიანი ადგილები ზემოდან მთლად შემოსილია, დაფარულია ხავსითა და იმითა. აქ სიარული სულაც არ არის სასიამოქნო და თანაც მეტად სახიფათოა, ერთი თუ ფეხი ჩაგეფლო. თქვენი მტერი, თავს კი ვეღარ დააღწევ.

* *

„ერთი დრო არავის შერჩენია“ ვაიარა იმ ხანამ, იმ დრომ, როდესაც ჩაღუნები მეფობდენ. ვაჩნდენ ყვავილოვანი მცენარენი, ბუჩქები და ხეები; ვაჩალდა ბრძოლა არსებობის-თვის და ჩაღუნებმა უნებლივ „ბურთი და მოედანი“ ყვავილოვან ხეებს დაუთმეს, გამრავლდენ უტეხი, ვაუვალი ტყეები უშველებელ ხეებისა, რიგი იხოცებოდა, იხრწებოდა და რიგიც ახლა ჩნდებოდა, ვითარდებოდა.

ათას საუკუნეთა განმავლობაში ზღვა-ოკეანეთა ტალღები შეუბრალებლივ სცემდენ ამ ტყეებს—არღვევდენ, ანგრევდენ და თან ჩაჰქონდათ ზღვის უფსკრულში. ასე ყოველ-წლივ შეუჩერებლივ იმარხებოდა ზღვის ფსკერში მოგლეჯილი ტყე, უშველებელი ხეები და ტყის ყველა მცხოვრები.

ხშირად მომხდარა (ეხლაც ხდება), რომ ზღვაც არ ჩერდება ერთს ადგილს, ძველი ადგილი სულ ამომშრალა და ახალ ადგილს გადავირდნილა მთელი ზღვა. ზღვის ნიადაგი, ფსკერი, ნაძირალა, ივება შლამით, ლამით, ქარი აყრის მტვერს და მიწას, ხოლო ნიაღვარს ხშირად ჩააქვს, უმატებს ლამს, სილას, ქვიშას და სხ. არა ნაკლებ მუშაობენ მთის მდინარენი, ჩააქვთ და ჩააქვთ ზღვაში ცოცხალი და მკედარი ხეები. არც ისაა იშვიათი, რომ მორღვეული უშველებელი კლდეები თავქვე დაუშვებიან ხოლმე ძირს და თავს აყრიან თავის ნამსხვრევებს ჩამარხულ ხეებს. დაიხ, ასეთი იყო სასაფლაო იმ ტყეებისა, რომელიც ზღვაში იმარხებოდენ.

ინგლისში დღესაც შეხვდებით იმისთანა ადგილებს, სადაც ზღვა და ხმელეთი შეჯიბრებულან, მარად იბრძვიან—16-ჯერ გაუცვლიათ ერთმანეთისთვის ადგილები. მაშასადამე ზღვაში თეჭვსმეტჯერ ჩაითრია ხეები, მთელი ტყე და ჩამარხა თავის ძი-

*) ამ ბელტებს ახმობენ და შეშის მაგივრათ ხმარობენ.

რში, ფსკერში. ამ ხევბმაც თან ჩაიტანეს თავის სასაფლაოში ათას წლობით შეგროვილი, გულში ჩამარხული მზის სითბო, სინათლე. ასევე იქცეოდენ ხომ ჩაღუნებიც.

ამ გვარად დედამიწის წიაღში და საკუჭნაო-სარდაფე-ბში შეგროვდა, დამზადდა ის აუარებელი სიმდიდრე, განძი და საუნჯე, რომელსაც ჩვენ მზის შავი სხივები ვუწოდეთ.

დიახ, დედამიწაში ღრმად ჩამარხულია (დღესაც იმარხება) მზის სითბო-სინათლე, მისი ცეცხლის ნაპერწკლები, რომელ-საც ჩაღუნები და ხეები სიცოცხლის დროს მწვანე ფოთლე-ბით ჰყლაპავდენ. ახლა კი მათი გვამები მილიონ წელთა გან-მავლობაში გადაქცეულან მაგარ ქვათ, ქვა-ნახშირათ.

* * *

როდესაც რომაელნი ბრიტანეთს ჰყლობდენ, მათ უკვე შეენებული ჰქონდათ უპირატესობა და მნიშვნელობა ქვა-ნახ-შირისა. ამიტომ საწვავათ ხმარობდენშეშის მაგივრად. მას მერე გაიარეს საუკუნოებმა და ინგლისის მეფეებმა ოკრძალეს ქვა-ნახშირის ხმარება. მხოლოდ მე-XIII საუკუნეში ჰენრიმა III მისუა უფლება ნიუ-კესტლის მცხოვრებთ მოეხმარათ მა-დანი და გაეყიდნათ კიდეც ქვა-ნახშირი.

ეს იყო დასაწყისი ქვა ნახშირის ხმარებისა, მაგრამ დახეთ შეუენებლობას! მდიდარმა და მაღალ-წოდების ხალხმა დაიწყეს ჩიკილი, რომ ქვანახშირის ბოლო და მჭვარტლი ძლიერ გვაწუხებს, არა სასიამოვნო სუნს ავრცელებსო. იმავე მეფემ გამოსუა ახალი ბრძანება—ბუხრებისთვის მხოლოდ შეშა იხმა-რეთო,—მეფე ედუარდ II უფრო გონიერი კაცი აღმოჩნდა, ამან აღადგინა თავისუფლება—ვისაც რა ნებავდეს, ის იხმაროს საწვავად, ასანთებად, სათბობათო.

ამ გვარად ოთხი საუკუნე მეტია, რაც ქვანახშირის ხმარე-ბა დაიწყეს ეკროპაში, შეიგნეს მისი ძეირტასი თვისება, ვით უსაჭიროეს მაღნეულისა. ჩვენი დროის ქარხანა-ზავოდებს განა შეეძლოთ ასე განვითარება, თუ არ ჰქონდათ ქვანახშირის ძრი-ელი ძალა სიცხისა, რომელიც გაუჩერებლივ ატრიალებს, ამუ-შავებს სიმდიდრის ჩარხებს და იაფად გვაწვდის საცხოვრებელ მასალას?



დიალ, მზის შავი სხივები, რომელნიც გამოკრთიან გავარეარებულ ქვანახშირიდან, თავის ძრიელი სიცხით გვიხარშავენ საჭმელებს, ატრიალებენ წისქვილებს, ათასებარ მანქანებს, რომელნიც გვიმზადებენ შაქარს, წამლებს და ათასნაირ ქსოვილებს ტანის შესამოსათ.—მზის შავი სხივების ძალით დაცურაობთ, დაცსრიალებთ ზღვა-ოკეანეზე: უზარმაზარ გემებით, ორთქლმავალით, დრედნოუტით. ხმელეთზე დაგვაფრენენ რკინის გზებზე მატარებლები, მინდორში მყინვ ყანას, ფარცხავენ ხნულს და სხვა. პო და, მოდი ნუ გაკვირდები, რომ იყო დრო, როდესაც მეფენიც კი უკრძალავდენ ქვა-ნახშირის ხმარებას და აბა მაშინდელ მოქალაქეს რაღა მოეთხოვებოდა.

* * *

რუსეთში ძრიელ გვიან გაიცნეს ქვა-ნახშირი. ყველაფერში ჩამორჩენილი იყო მოსკოვის რაიონში (მიდამოში) 1768 წელს აღმოჩენილ ქვა-ნახშირს მხოლოდ მე-XIX საუკუნეში დაუწყეს ექსპლოატაცია—თხრა და მოლება. ქვა-ნახშირის მაღნებით მდიდარია დონეცის ხეობა-ბასეინი. ორი მესამედი რუსეთის საკუთარი ნახშირისა (1.500 მილიონი ფუთი ამოაჭვთ) დონეცის რაიონში ითხრება. ეს რაოდენობა ქვა-ნახშირისა აბა რას ეყოფოდა უზარ-მაზარს მაშინდელ რუსეთს და ამიტომ საზღვარ გარეთიდან შემოჰქონდა ყოველწლივ 250 მილიონი. ფუთი.

საქართველოში მხოლოდ ერთგან არის, ტყიბულში, ქვა-ნახშირის მაღანი, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ არის საკმაოდ გამაგრებული, ვერ იძლევა საკმაო სიცხეს. ამ მაღანში პოულობენ გიშერს (ლიგნიტს), ეს უფრო ახლადი იწყებს დანახშირებას. გიშერის სამკაულებს (კრიალოსნებს, ქამარ-ხანჯლის მორთულობას და სხ. იმერეთში ამზადებენ. ძველ საქართველოში, ოლთისის მაზრაში აღმოაჩინეს ქვა ნახშირის მდიდარი მაღანი. გამოუანგარიშიათ, რომ ათასი მილიარდი ფუთი ძევსო. ვნახოთ ვის არგუნებენ ამ მაღანის ექსპლოატაციას, მემკვიდრე საქართველოს, თუ ვიგინდარას.

დღეს სახელმწიფოთა ძალა-უფლება ნახშირის რაოდენობით გაიზომება. ვისაც ეს შავი სხივები მზისა მეტი აქვს, ქო-

ნებ-ცხოვრებაც მის ხელთაა და სამხედრო ძალაც. მთელ ქვე-
ყნიერებაზე ყოველ წლივ იხარჯება, სწვამენ 500 მილიონ
ტონა (ტონა 61 ფუთია) ნახშირს. ამ 30 მილიარდ ფუთიდან
ინგლისს აქვს შეძლება საკუთარი ნახშირი ყოველ წლივ და-
ხარჯოს 200 მილიონი ტონა, ინგლისს მისდევს შეერთებული
შრატები (ამერიკა) 160 მილ. ტონა, მერე გერმანია 100 მილ.
ტონა, ხოლო საფრანგეთს ცოტა აქვს საკუთარი ნახშირი,
სულ რაღაც 25 მილ. ტონა. ამიტომ ინგლისში ყიდულობს
დანაკლისს.

II.

ჩვენ ვსთხრით დედა მიწაში ღრმა ორმოებს, ვიდრე მაღ-
ნამდე ჩავატანთ. ამ ორმოებს შახტა ჰქვიან, ზოგი მათგანი
ხუთ სართულიანია, თითქმის ნახვარ ვერსის სილრმეთ ჩადის.
ორმოს პირად სდგას უსაჭიროესი მაშინა (მანქნა), რომლის
უშველებელ მორგვეზე დახვეულია ფოლადის თოკი (ჯაჭვი),
ამას მიუბამენ ხოლმე რკინის გალია-კალათებს, რომელშიაც
სხედან მაღაროს მუშები ორი სამი კაცი. მორგვის ჩატრია-
ლება-ამოტრიალებით მაღაროებში ჩადიან და ამოდიან მუ-
შები. მორგვის ტორმოზიც აქვს, რომ უეპრივ არ ჩააქანოს
და არ ამოაქანოს მუშებით საცხე კალათი. მუშებს თან ჩააჭოთ
წერაჭვი, ნიჩაბი და თავიანთი საგაძლი.

პატარა ლამპების სინათლეზე თითქმის მთელი დღე მუ-
შაობენ, სთხრიან მაღანს, ქმნიან მაღაროებს, გაჰყავთ ვეირა-
ბები, რომელნიც ჩვენს დერეფნებს ძლიერ ჰგვანან. მაღაროე-
ბის სილრმეში ჭერს შედგმული აქვს ტივის ხეები, სქელი ფი-
ცრები, იმ მოსაზრებით, რომ უცებ არ ჩამოინგრეს მაღანი
არ ჩამოწვეს კლდე-დედამიწა და ქვეშ არ დაიტანოს მუშები.
მერე გაჰყავთ ბილიკები, გზები, აწყობენ რელსებს და სხ.

როცა ნახშირის ფენებს, შრეებს საქმაოდ დასთხრიან,
დაანგრევენ, მერე ჩაჰყრიან ხოლმე პატარა ვაგონეტკებში და
რეელსებზე მოაგორებენ შახტის პირამდე, სადაც ჩამოკიდულია
ფოლადის თოკი ზევით ჭახრაკით ასაწევათ.

ნახშირის გვირაბში არ შეიძლება ორქლით, ცეცხლით
პატარა ლოკომატივების გამართვა, პატარა რკინის გზით ნახ-

შირის მიგორება ორმოს პირამდე. არ შეიძლება იმიტომ, რომ მაღაროები ნახშირის გაზით არის საცსე, რომელსაც ადვილად ეკიდება ცეცხლი. ხოლო მაღაროებში თუ ცეცხლი ჩავარდა, დიდი უძელურება დატრიალდება ხოლმე—გალურჩებიან მღშები თუ დაიწვებიან, ძნელი სათქმელია.

აი ამიტომ ზეთის პატარა ლამპრებიც სავანგებოთ მოაწყო მეცნიერმა გუმფრი დევიმ სქელ შუშა ფარნით და მართულის ქსელით, გაზის აფეთქების ასაცდენათ. ამ გაზს ჰქვიან მეტანი (CH 4) გუბე-ჭაობები საცსეა ამ გაზით. ღვთით შორს არ არის ის დრო, როდესაც ყველგან მაღაროებს ელექტრონით გაანათებენ და მით დაიხსნან ქვესკნელის ხალხს საშინელ უბე-დურებისაგან—ცოტბელი აღამიანი ჭრაჭივით, მაშალასავით იწვის და ხსნა კი არსაიდან არის. წელიწადი ისე არ გაივლის, რომ გაზეთებმა ამბავი არ მოგვიტანონ, ნახშირის ამა და ამ მაღაროში ცეცხლი ჩავარდათ.

* *

სამაგიეროთ, შრომის შესამსუბუქებლათ, ცხენები შველიან ლოკომატივების მუშებს. მაღაროებში (აკოპებში, შახტებში) მართავენ ცხენის რკინის გზას, ერთს ცხენიანს. საინტრერესოა ამ გონიერ ცხოველთა ამბავი. რკინის დიდ კალათაში ჩასვამენ ცხენს, ცხენი ფრთხება, წიხლებს ისვრის, აფრატუნებს, მაგრამ რამდენიმე წმში კახრავი ჩაუშვებს ხოლმე ცხენს დედა მიწის სილრე-უფსკრულში, რაღა თქმა უნდა განგებარ ჩევენ ჯანით საღს, ღონიერ ცხენებს, იქვე მაღაროებში უმართავენ ცხენებს თავილას, ბაგას, რაღვან მეტად ძნელია ცხენის ყოველთვის ჩაყვანა-ამოყვანა.

ცხენი შესანიშნავათ მომთმენი და შრომის მოყვარე ცხოველია. ქვესკნელში ათასობით სცხოვრობენ ჩვენი მეგობარი ცხენები. ადვილად ურიგდებიან თავის ბედს, ადვილად ეჩვევიან თავის ახალ ცხოვრებას, მთელს თავის დანარჩენ სიცოცხლეს ამ ქვესკნელში ატარებენ, სადაც ლამპართა სინათლე ძლივს ბუუტავს და ბუნებრივ სინათლეს კი მოკლებულ არიან, მზის ცხოველ მყოფელი სხივები აღარ ახალისებენ მათ ცხოვრებას. ცხენი შესანიშნავად ერთგულად მუშაობს, კაპანს ეწე-

ვა ადამიანთან ერთად. სავსე ვაგონეტკებს მიაგორებს ხოლმე შახტის პირისკენ. ზევით ატანილს ნახშირს აცხავებენ, ხარისხის (სიღიღის) მიხედვით არჩევენ, იქვე ტყირთავენ რკინის გზის ვაგონებს და ისტუმრებენ საითაც საჭიროება მოითხოვს.

* * *

მაღაროებში ცხელა, ბუღა სლგას, ამიტომ მუშები თითქმის რო ტიტვლები მუშაობენ, წერაქვით სთხრიან, ატვრევენ მაღანს, მერე შეძვრება გამოქვაბულში და აქ მუშაობს მწოლარე; ხან გვერდზე წევს და ხან გულ აღმა. ზოგს ადგილის კი, სადაც სქლად ძევს მაღნის ფენი თუ შრე, ლალმით, ბარუთით ანუ დინამიტით ააფეთქებენ ხოლმე მაღანს. ამ გვარად იზოგება მუშაობა ძალა, რადგან ერთბაშად ირლვევა უშველებელი ადგილი მდიდარ მაღნისა.

მაღაროს მუშა მეტ წილ თავის სიცოცხლისას ქვესკნელში ატარებს, მილიონობით დაითვლება ქვესკნელის ხალხი. მოკლებულ არიან ადამიანურ ცხოვრებას; ვერ ითბობენ გულს მზის ცხოველ მყოფელ სხივებით, თანაც მისი სიცოცხლე მარად განსაცდელშია. როცა მუშა მაღაროში ჩადის, კარგად იცის რამდენათაც საშიშოა მისი ხელობა. ლამპარი ყოველთვის ვერ იხსნის სიკვდილისაგან. გარდა ამისა ალაგ-ალაგ ისეთი ნიადაგიც შეხვდება დედამიწისა, რომ ვიდრე მოასწრობენბ ოძების და ფიცრების შედგმას, კლდე მოინგრევა, მოირლვევა და ქვეშ დაიტანს ხოლმე თავგანწირულშ შრომელს, მაღაროსმუშას.

მეტად დამატიქრებელია ის გარემოება, რომ შახტებში ჩადიან სამუშაოთ პატარა ბიჭებიც. საბრალო ბავშები ისევე მუშაობენ მაღაროებში, როგორც მათი უფროსები. სთხრიან წერაქვებით მაღანს და თითქმის მთელ დღეს ძალლ უმაღურათ ატარებენ ქვესკნელში, სადაც ნახშირის ბუღა და მძიმე ჰაერი სულს უხუთავს. ნორჩის სიცოცხლეს. მოკლებულ არიან სუფთა ჰაერზე თამაშობას, მზის სითბო-სინათლის ძალას, ნორჩი ჯანის გასამაგრებლად.

მეტადრე ინგლისში ბევრი ბავშეობა მუშაობს ნახშირის სათხრელად. ყოველ ცისმარე დღე 50.000 მოზარდი თაობა 13—15 წლისა ჩადის ჯურლუმულში, ბნელ და ნოტიო ღვიმეებში. აი, ეს მთელი ლაშქარი ყმაწვილებისა სწორეთ რო უნდა ჩაი-

თვალოს დიდებულ და სათაყვანებელ ლაშქრით მთელ დედა-
მიწის ზურგზე. ორგორ არ სოქვას კაცმა: ბავშები ქვესკნელში
შრომობდნ, წვალობდნ, ათას გაჭივრებას განიცდიან, მხოლოდ
იმისთვის, რომ სხვებს, უცხო ხალხს სითბო-სინათლე შესთა-
ვაზონ, მიაწოდონ თავის ოფლის ნაღვაწი.

დიალ, მაღაროს მუშა ბავში აღამიანურ ცხოვრებას მო-
კლებულია, ყოველ ცისმარე დღე თავს სწირავს, შიშის არ ერი-
დება, გულადად, მამაცათ ჩადის ბნელს ქვესკნელში და იღწვის,
იტანჯება, რომ სითბო-სინათლე მოუვლონოს კაცობრიობას.

* *

ქვა ნახშირი აუარებელი იხმარება საზოგადოთ იქ, სადაც
საქირო წყალი ორთქლად აქციოს, ორთქლი კი გაზათ გადაიქ-
ცეს. მა გაზს მოჰყავს მოძრაობაში უზარ-მაზარი მანქანები და
აუარებელი ჩარხები, ლოკომოტივები.

ქვანახშირიდან ხდიან აგრეთვე სანათ გაზს, რომლითაც
განათებულია დიდ-ქალაქებში სადგურები, ქუჩები და მოედნე-
ბი, ნახშირითვე ათბობენ სახლებს, აბანოებს, იზოგება შეშა,
შეშის გულისთვის კი ტყეებს ვანადგურებთ.

ასე საკვირველად გამოიყენა აღამიანის ლვითიურმა ნიკება
ის ძალა მზისა, რომელიც ბუნებას განგებ შენახული აქვს
ქვესკნელის სარდაფებში, საკუჭნაოში. დიალ, ათას საუკუნოე-
ბის წინეთ ჩაღუნები და ხეები ჰყლაპავლენ მზის სხივების სითბო
სინათლეს და თან ჩაჭქონდათ სამარეში. დღეს კი აღამიანშა
მიაგნო განძს, მზის შავი სხივები ამოამზევა, ისევ ზევით ამოა-
თრია ნახშირის სახით და ახლა ამუშავებს მზის ნაპერწკლებს
თავის საბერნიეროდ, საკეთილდღეოთ.

მხოლოდ ერთი რამ კი ავიწყდება აღამიანს. მეტის-მეტ
სიხარბით, დაუზოგველად, უანგარიშოთ ხარჯავს მოკირნახულე
ბუნების მიერ დაგროვილს მა დოვლათს და განძეულობას. არ
ფიქრობს მომავლისთვის. ნათქვამი „ზღვა კოვზით დაილიაო..“
ბევრი მაგალითი გვაქვს თვალწინ. მამა-პაპის დოვლათი ული-
რსმა მემკვიდრემ, თავაშვებულ ცხოვრებით უმიზნოთ გაფლანგა
და მისი შვილები კი დარჩნენ ულუკმო-პუროდ. აი რა მოე-
ლის კაცობრიობის მომავალ თაობას.

ილ. ალხაზიშვილი.



Հ Ա Բ Գ Թ Ե Ս Լ Ո Ռ Յ Ա Կ Ո

(լուսական պետական)՝



Կանայք միջազրմաբ ցաւարա և ըլու-
կո կո ուշաց գամերեցնելու ուղար.

— Միջունութու, յալու, տուժմուն պայու-
թո հասեա տանամշաբարմա մռելումա յըլո-
յան. — Մե մերու մռամենա ալար Մեմունուն.
պայու ուղար ծավացնեմ, ու Մենո ծարցո
հանձնարց. պահանատ ուսազ, პարարա ուն-

ցամունինց. յալայնո ցալո, պէտ-ունու մռոյսուե, ու ուշաց լուսա-
տյենուստանա ու ունութունու ու ուշաց ունունա սալու. սամո
նունութագու, „ծայրականու“ սացեա հայուն կայսանա, յալայնո պայուն-
քունու և ծնասաւ ամռացնու: ուղար հռամ ցինոնդա, ունունա սա-
լու ցամունինց, մացրամ...

— ո՞չ! կը ունու ագամինու, նյ լումբանու պայունու ունունու. յըրու ուն ըլուս նուցուկադու, ծնաս մուցու հայուն պարարեմ, յամուն զունունու և յըրու ատասաւ ցամացունու նուն սույունու. յըրու արարեցնու ունուս մռուս. — մռունու կը ու կայու նուցուկադու, սեցա արաբարեցնու նուցուկադու, ցամացունու, ու ունունու ունունու, հապ-յու համ նուցու մածագունու...

— ծնաս, կը ո՞ւնու? մերու մե յո մածագունու, սարասաւ մունցան! համուն յո մածագունու ունունու, սամաւ մունցան, հռամ ուն-
ունու ու ունունու մունցան! տապուսենունու ծունդունու մունցան
ծունդունու.

— ծեծու, ծեծուչան, ցենցաւալու, նուցուկան նունունու!
հայուն ճայույսարցեցնու ամռանու յալայնու, ցնա ար զուսու, արացու
զունունու, եռամ երազ ուղար արաս, օսե հռամու յանյա-

ლებს! და პატარა ნატო მუხლებზედ მოეხვია ბებერს და სა-
შინელი ტირილი დაიწყო.

— ქრისტიანი თუ ხარ, ნუ მიღალატებ. მთელი გზა
მხოლოდ შენი გამხნევებით გამოვიარე, კიდევ დამარიგე, მა-
სწავლე, მიწინამძღვრე... კვლავ შესტირა ყმაშვილმა დედამ.

დედაკაცი დიდხანს ყოუჩქრებდა, თითქმ კიდეც უნდოდა
ამათ პატრიონბა და თითქმ თანაც რალასაც, თუ ვიღასიც
ერიდებოდა, ელიკო კი იმის გადაწყვეტილებას გაჭირებილის
თვალებით ელოდებოდა და გულის ფრიალით იხრჩობოდა.

— აბა რა ვქნა! რა გიყოთ, თქვე საცოდავებო, თქვე ახლად
გამოაჩეკილ წიწილებივით უსუსურნო! ბოლოს სთქვა დედაკაცმა და
იქვე. ახლო მდგომ მუშას დაუძახა, ბარგით აკიდებული წინ გამ-
ძლვარა და ამათ ჩვეულებრივის გაჯავრებულის კილოთი შესძახა:

— აბა მომყევით, თქვე ბელკრულებო!

— შეა დღე გადასული იყო, როდესაც დაღალულ-და-
ქანცულები, ძლივს ფეხზედ მდგომი მგზავრები, მიუახლოვდნენ
ვერის სულ განაპირა უბნის ერთ ვიწრო ქუჩას, რომელიც
ვერის დაღმიართიდგან მტკვრის პირისაკენ ჩადიოდა.

ქუჩის ორთავ პირზედ სულ პატარა ქობმახები იყო გა-
შენებული ერთი ციდა კარ-ფანჯრით, პაწაწინა ბალკონებით
და ეზოებით. ერთ-ერთ ამისთანა პაწაწინა შენობის ფანჯარა
დააბრახუნა. ჩვენი მგზავრების წინამძღვარმა ბებერმა.

— უი ქა, დედოჯან, შენ მოხველი? შეჲყვეირა ყმაშვილმა
ქალმა და უსუსური ბავშით ხელში, კარში გამოეგება. — მადლო-
ბა ღმერთს! მშვიდობით მოხველ! ჩვენ შიშით დავილიენით,
ისეთი ამბები ვვემოდა, ვითომ ბათუმი ძალად დაანგრიესო,
მცხოვრები ცხვრებივით გაირეკეს თათრებმათ... და უცებ
გაჩუმდა უცხოებიც რომ ამათ კარზედ გაჩერდნენ.

— მაშიკოჯან, მოკრძალებით უთხრა მოხუცმა თავის
ქალს: ეს საცოდავებიც გამოქცეულები არიან. დაიხოცნენ
სიარულით, ვაგზლიდვან ფეხით მოვდივართ, აბა ერთი შინ
შეგვეუვანე და იქ ყველაფერს გეტყვით...

— მობძანდით! მობძანდით! როგორდაც ცივათ და და
გოცებით სთქვა მაშიკომ და სახლისკენ გაბრუნდა.

პატარა და ღარიბი იყო ახალი მასპინძლის სადგომი.

მთელი ოთახის სიგრძედ განიერი ტახტი იყო შეკრული და სულ გახუნებული ფარდაგი და ხალიჩი იყო გაშლილი. ტახტის თავს და ბოლოს ორი გახუნებული ჩით გადაფარებული მუთაქა იდო, პატარა ხის სტოლზედ პატარა „სამოვარი“ იდგა ჩაის იარაღით და რამდენიმე სკამი სტოლ გარეშემო. ერთადერთ ოთახის მორთულობას შეადგენდა ლამაზი კაკლის კამოდი, რომელზედაც ყაისნალით ნაქსოვი სუფრა იყო გადაფარებული და ზედ ლამაზივე კაკლის ჩარჩოიანი სარკე იდგა.

ტახტზედ შვილი-რვა წლის გოგონა იჯდა და გაბლვერილი უცქეროდა, უცხო სტუმრებს, რომელნიც მობუზულები იდგნენ შესავალ კარებში.

— ამათმა უბედურობამ დამწვა, შესვლის უმაღლ დაიწყო მოხუცმა, უპატრონოთ ვერ დავტოვე, სულ გამოუცდელი, ხამები არიან. ამოდენა ქალაქში სად გაიგნებდნენ გზას და კვალს, თითქო ბოდიშით ამბობდა მოხუცი, მართალია, შენც ვიწროთ დგეხარ, მაგრამ ერთი ორიოდ დღით ბინა უნდა მისცე გაჭირვებულებს. მე ქალაქისა ავიც და კარგიც ვიცი და საცა იქნება ვაპოვნინებ თავშესაფარს. იქნება ღმერთმა მოხედოს და მაღა იპოვნოს დაკარგული ქმარიც და ისევ თავის იჯახს დაუბრუნდეს.

ელიკო და იმის შვილები ტახტის ბოლოზედ ისხდნენ და მაღლობით შესკეროდნენ თავიანთ პატრონ-თანამგზავრს, რომლის სიტყვები ჰპირდებოდა ამათ ნუგეშის და გზის პოვნას.

მაშიკო კი ფიქრში იყო წასული. „რას იტყვის ჩემი ქმარი სამუშაოდან რო დაბრუნდება დალალულ-დაქანული და ამ ოთხ-ოთხ „ბეჭენც“-ს რომ დაინახვს? მაგრამ რა უყო, მართლა, ამ საცოდავებს, ქუჩაში ხომ არ გავრეკმ? მერე რა კარგები არიან ეს ბალლები! რა პატიოსანი შეხედულობისაა ეს ქალიც. კი არა გვანან ი ტილიან „ბეჭენცებს“ რომელნიც დილიდგან საღამომდე დაწრწიან მთელ ქალაქში და სულს გვაძრობენ მათხოვრობით“.

— რას დაფიქრებულხარ, მაშიკოჯან? შეაწყვეტინა ფიქრები მოხუცმა თავის ქალს. მამე ე პატარა აქ და შენ სამოვარი აგრიჩუბ-ჩუხე ცოტა ოდენი შაქარი და ყავა წამოვიდე, საგზაოთ წამოღებული პურიც საქმითა მაქეს და ხვალისთვის ღმერთია მოწყალე.

— მეც მაქვს შაქარი, ჩაიც, ყავაც, ცოტაოდენი ყველი
 და პურიც, ხმის კანკალით დაუმატა ელიკომ და ბოხია გახსნა
 და ამოალაგა სუყველაფერი რაც რომ გააჩნდა.

მალე სტოლზედ სამოვარი ჩუქჩუხებდა და იმის გარშემო
 შემომსხდარნი სტუმარ-მასპინძელნი გემრიელად შექცეოდნენ
 ჩიისა, ელიკოსაც კი თითქო ღროვებით გადეყარა გავლილი ვარა-
 მი და უნუგეშმ მომავალი და პირზედ ღიმილი ჰქონდა მომდგარი.

— დედიჯან, ჩუმათ ეტუტუნებოდა ნატო დედას, ამათ
 მარტო ეს ერთად ერთი ოთახი აქვთ, ჩვენ სადღა უნდა და-
 ვიძინოთ? მე კი ძრიელ შეძინება, დავიღალე, ფეხები მტკივა...

— სუ! სუ! გრიაცვალე, ჩურჩულითვე უპასუხებდა დე-
 და ვოგონას.—სუყველაფერი უნდა მოვითმინოთ. ხომ ხე-
 დავ მეტო გზა არა გვაქვს. ვნახოთ ღმერთი რა ნუგეშმ გამო-
 გვიჩნის! მიხო და ლელი კი ბავშურის უზრუნველობით ეჭიკ-
 ჭიკებოდნენ მაშიკოს ქალს ბათუმში დარჩენილ სათამაშოებზედ.

— მე ისეთი დიდი, დიდი ბურთი მაქვს კვეხულობდა
 ლელი, ისეთი დიდი, რომ დედამ ვერაფერში ჩასტია, რომ
 წამოელო. მამამ მე მიყიდა და ნატო კი მართმევს ხოლმე.

— გოგის ცხენი აქვს, რუხი კატა, იცი, ცოცხალი კი
 არა, სათამაშო. ფეხებზედ ვოგორები აბიათ და იმითი ვათრევთ
 ხოლმე ოთახებში.

— მე ხერხი მაქვს, ნიჩაბი, თოხი, ამობდა რვა წლის
 მიხო. ეზოში ბახჩის ვთოხნი, სახლის პატრონი როდი მიჯა-
 ვრდება! მეუბნება შენ კარგი მუშა ხარო, ღმერთმანი!

მაშოს ქალი, თუმცა შევიდი წლისა იყო, მაგრამ თავიანთ
 ვიწრო და კუჭყიან ქუჩის მეტი არა ენახარა, ქალაქისა არც
 ავი იცოდა და არც კარგი და გაკვირვებით უსმენდა ბავშებს.

— ნამდვილი ხერხი გაქვს? თოხი რკინისაა? ეკითხებოდა
 ქალაქელი თავის ამხანაგს.—რატო თან არ წამოიღე, აქაც
 გვაკეთებდით ბახჩის.

— მაშ, რკინისაა, ხერხიც კბილებიანია, გალესილი, რო-
 გორც შეშის მხერხავებსა აქვთ, მხოლოდ ცოტა პატარაა, მა-
 გრამ შეშებს კი მეც გადავხერხავ ხოლმე.

არც თუ ყმაწვილი დედები იყვნენ ჩუმათ, იმათაც მაღა
 გააცნეს ერთმანეთს თავთავიანთ გარემოება. ვოგის და კარგვის მო-
 ვონებაზედ, იმის დედის ვარამზედ, მაშიკომ მაგრა მიიკრა გულ-
 ზედ თავისი ქორფა ბიჭი და ნათლათ წარმოიდგინა. ელიკოს გუ-
 ლის დუღილის სილრმე და ზეცას შეხედა: ოხ ღმერთო, ჩემ
 მტერსაც ნუ გააცდევინებ ამ გვარ უბედურობას,— ქმრი,
 შვილი, ოჯახი, შეძლება და კარგე ერთად? ოჯ, რა უსამშლროა
 შენი უბედურობა!

— უსამშლროა, უსამშლრო! საშინელის ქვითინით წარ-
 მოსთქვა ელიკომა— წყალს იქით გზა ალარა მაქვს, მაგრამ რა
 უუყო ამ საცოდავებს?

— კარგი, კარგი! ცრემლებს ნუ აფუჭებინებ შენ მშვე-
 ნიერ თვალებს, თავისებურად შეუტია მოხუცმა ელიკოს. მო-
 თმინებით იყავ, იქნება ღმერთმა მოგხედოს ქმარიც იპოვნო,
 შვილიც, ოჯახიც, მაშინ ჩვენ გეწვევით ბათუმში და გვაქიფევ.

ამასობაში კიდეც შებინდდა, ოჯახის პატრონი; ჩილინგ-
 დარი სვიმონა სამუშაოდან მოვიდა სახლში და პირი ლია დარჩა,
 როდესაც თავის სიდედრის გარდა, ოთხი სხვა ადამიანიც
 დაინახა.

— რას გაშტერდი, ჩემო სიდე ბატონო, ალერსით და
 თან ოხუნჯაბით უთხრა მოხუცმა ხელოსანს.— სტუმარი ღვთი-
 საა, შვილო. ერთ ორ დღეს უნდა შეიხიზნო ეს გზა აბნეულ-
 ნი და ღმერთი გადაგიხდის სამაგირს!

— სტუმარი ღვთისაა! შექლრიალა სვიმონამ, რომელიც
 კარგა ლაზათიანათ შეზარხოშებული იყო. — შენ უთოთ არ
 იცი რომ გირვანქა პური ხუთი მანეთია, ბოთლი ღვინო რვა
 მანეთი, ხორცი ექვს მანგთი და ამ ფასებში ჩვენც სიმშილით
 ვიხოცებით, არამთუ სტუმრებს გაუმასპინძლდეთ! მერე მაგის-
 თანა სტუმრებს, კნიაზებს და მათ ჩამომავალთ! უთუოთ გლე-
 ხებმა გამორეკეს სოფლიდგან და აქაურ გლეხებს მოგვაშურეს!
 ახლა ჩვენ დაგვასხდებიან თავზედ?

ელიკო შვილებით ზეზე წამოხტა, კარგბისაკენ წავიდა,
 თითქო გასაჭუევათ, მაგრამ სასოწარკვეთილებით შესდგა და
 სიბნელე რო დაინახა აბუზული, გაუბედურებული გადაეხვია
 შვილებს, რომელნიც შიშისაგან კანკალებდნენ.

— სუთ! სუთ! ჩვეულებრივის რიხიანობით შეუტია ბავ-
შებს ბებერმა მეგობარმა და ელიკოს მხარზედ ხელის დადებით
უთხრა:

— ნუ გეშინიან, დამშვიტდი! მე აჯილლა ელისაბედს
მეძახიან და ეგრე რიგად არავის დავეჩავრინები! მე დაგპირდი
პატრონობას და კიდეც გიპატრონებ!

— შენ, შენ კი, სიდე ბატონი! გრუხვენოდეს? რვა მა-
ნათიან ბოთლი ღვინით გამომთვრალხარ, უკანასკნელი გროში
მიგიცია ღვინოში, შინ ხელცარიელ მოდიხარ და ცოლშეილს
და სტუმართ ცარიელ ჭერქვეშაც არ აყენებ? მაღლობა ღმერთს
გაზაფხულია, ჩვენ ცის ქვეშაც კარგათ გავათენებთ...

— მაშიოჯან, ჩემი მობარებული საფენი და ლოგინი
სადა გაქვს? მამეცი. კარზედ, კუთხეში სადმე მიუგებ და მეც
ამათთან ერთად მივიძინებ.

ასმათმა დიდხანს იტირა და იყოყმანა იმაზედ, თუ რა
გზას დასდგომოდა, ბოლოს ისევ სახლში გაბრუნება გადა-
სწყვიტა.—იქნება ბატონი მოსულა კიდეც სახლში, ან სახლი
ხომ ისევ იქ დაგვიხვდება, მივალ და თავს შევაფარებ. ქალ-
ბატონი თუ მოგვეძების, იქ უფრო ადვილი საპრენერი არ
ვიქნებით! და ნელის ნაბიჯით, მოტირალის გოგით ხელში
გაუდგა ქალაქის ქუჩებს. თუმცა ვაგზალზე ამის მეტად არ
ყოფილა, მაგრამ ის კი კარგად დაახსოვდა, რომ ამათ სადგუ-
რიდგან დიდი მანძილი არა ჰქონდათ გავლილი და მართლაც
სულ ორი სამი შესახვევის შემდეგ, მიადგა იმ ვიწრო, მაგრამ
ლამაზ და სუფთა ქუჩას, რომლის თავშიც გამოჭიმული იდგა
დიდი ლამაზი სახლი და რომლის ქვემო სართულში მოთავსე-
ბული იყო იმის ბატონიანთ ლამაზი, ოთხოთახიანი ბინა.

ასმათი გულის კანკალით მიუხდიოვდა თავიანთ კარ-ფან-
ჯარა ჩაკეტილ სადგურს და სიხარულით ცას დეეწია, როდე-
საც შესავალ კარებში პატარა „ქედანა“ მოეგება, ლაქუცი
დაუწყო, ხელების ლოკვა; პატარა ძაღლი მეტის სიხარულით
სულ წმუკუნებდა, გარბოდა-გამორბოდა, ფეხებში უგარდებო-
და გოგისაც, რომელიც ძალის აღერსხედ მთლად გამო-
ფხიზლდა და სიცილ ხარხარტც კი დაიწყო.

მაგრამ პირველმა სიხარულმა მაღვე გაუარა. მთელი სახლი და ცარიელებული იყო. სახლის პატრონიც და მდგმურებიც გაიხიზნენ და დარაჯათ დაყენებული ბებერი რუსიც კი ოდა-სადა სჩანდა.

რა ექნა საწყალ გოგოს! ცარიელი კედლების ყურება ხომ არ გააძლობდა. პური კი ძრიელ შიომდა ამასაც და გოგის ხომ სიმშილისაგან ფერდი ფერდი ჰქონდა მიკრული და განუწყვეტლად-ბლაოდა: — დედა, დედა! პური მინდა!

— რა ვქნათ, რა ვქნათ! სიმწარით ტუჩებს იკვნეტდა ასმათი და შესავალ კარებზედ ჩაჯდა დაძმარებულ-დათიქრებული.

მთელი ქუჩა მკვდარივით გაჩუმებული იდგა. ყველა კარები გამოკეტილი იყო, ადამიანის სული არსად ჭაჭანებდა. აქა-იქ ქედანასავით უბატრონოთ დარჩენილი ძალები დაწკავ-წკავებდნენ და საერთო სიჩუმეს და სიცარიელეს შესახარ ხასიათს აძლევდა.

საღამო მოტანებული იყო და სიბნელის მოახლოვების შიშით ასმათის მწუხარება ერთი ათათ ხდებოდა. უცემ ქედანამ შეჰყეფა.

— შენ, ეი! პატარა ქალო, ვინა ხარ? არ იცი აქ სად სდგას ალექსი გიორგილის სახლობა? შორიდგანვე ჰკითხა ას-მათს მოსულმა კაცმა, რადგან დაუინებულ ქედანას ყეფისა ცოტა არ იყოს შეეშინდა და ახლო მისვლა ვერ გაბედა.

— გიორგილი? გიორგილი ალექსი?! ოჟ! როგორ არ ვიცი, სიხარულით შეჰყივლა ასმათმა და უცხოს მიეგება. — ვინა ხარ? რა გინდა? გიორგილის ამბავი ხომ არ იცი? ბატონი ხომ არ გინახავს? ზედიზედ აყრიდა კითხვებს გოგონა მოსულს და მოუთმენლობით კანკალებდა.

— მოიცა, მოიცა! შენ თითონ ვინა ხარ? ან თუ იცი სად არის ალექსის ჯალაბი, თითონ ის შინდა ვინახულო, იმის ქმრისგანა ვარ გამოგზავნილი. ის თითონ საავადმყოფოში წევს, ძალიან ავათ არის და ცოლს იბარებს სანახავათ.

— ქალბატონი შვილებით გაიქცა რკინის გზით, როგორც ყველა სხვა... სად წავიდა არ ვიცი, — შესტირა მთხრობელს ასმათმა, და მე და ეს პატარა გოგი კი ვაგზალზედ დაურჩით და ახლა აქ მოვედით, მაგრამ აქ არავინ არის, სახლი

ცარიელია და დაკეტილი. სიმშილით ვკვდებით... წაგიყვანე ბატონთან, წაგიყვანე!

— მე ეხლა ვერ წაგიყვანთ. დაბარებული არა მაქვს. წავალ, ყველაფერს ვეტუვი და თუ თქვენი წაყვანა ლაზარეთში შეიძლება, მაშინვე დავბრუნდებიდა წაგიყვანთ. და მანამ ასმათი გაანახლებდა თავის მუდარას, ის უკვე წავიდა.

ასმათი ისევ მარტო დარჩა. ჩიმობნელდა, გარშემო გამე-
ფებულმა სიჩუმემ და მშიერი ძალების წეავწყავმა შესახარა-
ვათ იმოქმედა პატარებზედ. გოგლი საცოდვათ მიეკრა-
თავის ერთგულ გამდელს და სული განაბა; ერთად ერთ ნუგეშს
პატარა გრგოსას ქედანა შეადგენდა. ის ამის ფეხებთან იწვა
და დალონებულის თვალებით შესცეკროდა, მარტო ხანდისხან
საშინლად ამოიკვნესებდა ხოლმე და უფრო ახლო მიიწევდა
უნუგეშოთ დარჩენილ ბავშვებთან.

ასმათი გზას უყურებდა დაფინებით და იმედს არ ჰყარგავ-
და, რომ ბატონი უთუოთ ამათ წასაყვანათ გამოგზავნიდა და
ალაგიდგან არ იძროდა.

შუა ღამე გადავიდა და წასაყვანათ კი არავინ მოდიოდა.
კარგა აცივდა, ზღვის მხრიდგან სინესტე და ცივი ნიავი უბე-
რავდა. გოგის თუმცა ჩიეძინა, მაგრამ სიცივისაგან მაინც კბი-
ლები უწავწაკებდა. ასმათის მდგომიარება საშინელი იყო.
შიში, შიმშილი, სიცივე ერთმანერთს ეჯიბრებოდნენ პატარა
გოგონას გაუბედურებაში და ისიც იწოდა, იღვენთებოდა,
გული ეპატრებოდა.

ქედანა უცებ წამოხტა და სახლის უკანა ეზოსკენ გაექა-
ნა. ასმათის ძახილზედ უკანაც აღარ მოიხედა. საწყალი გოგო
ამ ერთად ერთ ნუგეშ მოკლებული უფრო მოიკუნტა, უფრო
შეკრთა, მაგრამ ქედანა ისევ მალე დაბრუნდა და გოგოს ლაქუ-
ცი დაუწყო, მერე ისევ გაიქცა, ისევ დაბრუნდა, ისევ ლაქუცი
დაუწყო, წკმუტუნით, კუდის ქნევით თითქო რაღასაც სოხოვ-
და, ასმათი მიუხვდა, რომ ძალი იწვევდა ადამიანს სხვაგან
სადღაც და ზეზე წამოდგა, ქედანა მაშინვე გაიქცა და კვლავ
ისევ მოირბინა. ეხლა კი ნამდვილათ დაეტყო ძალის ასმათის
სხვა გზას უჩვენებდა და ისიც გოგით თან შიშით და მოკრძალე-
ბით გაუბედავათ გაჰყევა უკან.

სახლის უკანა კედელს შიშენებული ჰქონდა ფიცრის სა-
მხარეულო და იმის კარებიც გამოკეტილი დაუხვდათ.

მაგრამ უდარაბო ფანჯარის შეში ჩამტკრეული ჰქონდა
და ქედანი იქიდგან გადახტა ჩაბნელებულ ოთახში და კვლავ
წყმუტუნი და ლაქუცი დაიწყო.

ახლა კი მიხვდა ამათი კვეიინი პირუტყვის სურვილს და
ფანჯარაში ხელი შეჰყო, მალე იპოვნა ჩანგალი, რომლითაც
ფანჯარა იყო მოკეტილი, გააღო და თითონაც ოთახში გადა-
ვიდა. ქედანს სიხარულს სამზღვარი არა ჰქონდა. ის ხტოდა,
დარბოდა, წყმუტუნებდა და კუნჭულში მიღგმულ ყუთთან
მირბოდ-მორბოდა.

ამათი ამასაც მიუხვდა და ყუთში ხელი ჩაყო და მხოლოდ
ახლა მოაგონდა, რომ ელიკომ ამას წინათ ქედანს ასოდის. იმ
ყუთში ძევლი საბანი ჩასდო და ეხლა ამან სიხარულით ამოიღო.
გაბერტყა, ხელი გაუს-გამოუსო და კუთხეში მიღგმულ ტახტზედ
გადაშალა. ამათმა ნახევარზედ აკანკალებული გოგი მიაწვინა და
ნახევარი ზემოდან დახურა, ფანჯარა ისევ მაგრა ჩაკეტა და ის
იყო თითონაც ბავშვთან მოკუნტებას აპირებდა, რომ ტახტის
გვერდით მდგომ სტოლზედ სიბნელეს შეჩვეული თვალით გა-
არჩია პატარა ლამპა და ლამპის დანახვაზედ ისიც კარგად
გაახსენდა, რომ ელიკოს ჩვეულებათ ჰქონდა ყველა ლამფასთან
წუმწუმის დადება და მაგიდას ხელების ფატა-ფუცი დაუწყო და
სიხარულით კინაღამ შეჰკივლა, როდესაც, მართლა, წუმწუმა
თავის ალაგას იპოვნა. წამზედ ლამფა აანთო და სიხარულით
დაიყვირა: ღმერთო ჩემი, აგერ ჩემი ლოვინი, აგერ ჩემი ძეე-
ლი პალტო, კაკით წყილი... იქნება შეაფშიაც იყვეს რამე
შესაჭმელი?! და ხელების კანკალით გააღო. ოჯ, ბედნიერებავ?
იქ ფიცარზედ უშველებელი ფურნის ჰური იდო და მის გვერ-
დით გუშინწინდელი სადილის ნარჩენი ქვაბით წვენი. ესეც
კარგად გაახსენდა ამათს. ჰური ძრიელ დიდი იყო და ელიკომ
გატენილ ბოხაში ვეღარ ჩასტია და იქ გაუშეა.

ამათმა ლოცვა არ იყოდა, მაგრამ სახლის ჭერს მაინც
თვალები ბლაბყრო და ვიღასაც, თუ რაღასაც, მხურვალე მად-
ლობა შესწირა შიმშილის და სიკვდილისაგან გადარჩენისთვის და
აღტაცებული ეანბორა პატარა ცუგრას და ვახშამი გაუზიარა.

ეკ. გაბაშვილი.

(შემდეგი იქნება).



დავით კლდიაშვილი.

(ოცდაათი წლის სამწერლო მოღვაწეობის გამო).

უსეთის სამხედრო სასწავლებელში მიიღო განათლება დავით კლდიაშვილმა და თავისი ახალგაზრდობა ძველი რუსეთის ჯარში სამსახურს შეაღლია. მაგრამ ის არ იყო დაბადებული იარალის ჩხარუნისათვის; ის ვერასოდეს ვერ იქნებოდა სამხედრო პირი, ოფიცერი — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მას განგებით დაჲყვა ფიქრისა და აზროვნების უძლეველი მოთხოვნილება და დიდი ნიჭი დაკვირვებისა. მიტომ იყო რომ, მიუხედავათ ყოველი დამაბრკოლებელი გარემოებისა, მან მძლავრად იღებებდა თავისი ნაფიქრი, ნააზრევი და ნაგრძნობი.

დააკვირდით მის სახეს: მსუბუქი, ცოტათი დამკინავი ღიმილი გაუბედავთ დასთამაშებს მის ბაგეს, რამობს საფსებით გაშლას; მაგრამ მისი თვალები ამავე დროს ისეთი ნაღვლიანი სათნოებით იცქირებიან, რომ ტუჩებზე ათამაშებული ღიმილი ველარ ბედას დაეუფლოს მთელ სახეს და ჰქონდა, ილესება ამ ნაღვლიან სათნოებაში.

ასეთვე გამომეტყველებით უცქერის დავით კლდიაშვილი ცროვრებას და ადამიანებს. ნიჭიერი შხატეარი მკითხველსაც მსგავსივე გრძნობებით ავსებს: მისი მაღლიანი ნაწარმოები პირველად ჩვენც ღიმილს გვგვრის.

რატომ?

ის გვიხატავს ადამიანებს სასაცილო მდგომარეობაში. სასაცილოა გაღარიბებული აზნაური სოლომონ მორბელაძე, მაჟან კლობით რომ ცდილობს გაჭირვებიდან თავის დაღწევას.

სასაკილოა პლატონ სამანიშვილი, რომელიც საკუთარი მამისათვის საცოლოდ თრ ნაქმარევსა და უშვილო ქვრივს დაეძებს — იქნებ მიმა ჩემს შვილი არ შეეძინოს და ჩემი პატარა მამული გასაყოფად არ დამირჩეს.

მოძრაობითა და სიცოცხლით აღსავსეა დ. კლდიაშვილი-საგან დახატული ყოველი სურათი და მავე დროს უმეტესობა სიცილის მომგრელია. თვითონ მისი გმირებიც, გალარიბებული იმერელი აზნაურები, ერთმანერთსა და თავისინთ თავსაც კი თი-თქოს მუდამ მსუბუქი, იმერული ხუმრობით ეპყრობიან, და-ცინვით უცქერიან. მკითხველიც შზათ არის უზრუნველათ, გულიანათ გადიხარხაროს. მაგრამ ამ ადამიანების ცხოვრება მეტის-შეტად სავსეა წვრილმანობით; ყოველი მათი მისწრაფება ულირსი მიზნისაკენ მიმიართება. არც თვითეული ადამიანის ცხოვრებას, არც ამ ადამიანთა გროვის ცხოვრებას მთლად — არ ანათებს მაღალი აზრი.

ეს წვრილმანობა, ეს დაკნინება ადამიანისა გულის ტკივი-ლით აღუნიშნავს ავტორს და მკითხველიც ვეღარ იცინის გულია-ნათ. მის გულშიაც ნაღველი იბუდებს.

დ. კლდიაშვილის შემოქმედება აღსავსეა სიცოცხლით და მოძრაობით. განსაკუთრებული სიცხოველით ალბეჭდილია შიგ იმერეთისა და იმერელ-აზნაურის ცხოვრების თავისებურება.

მაგრამ დ. კლდიაშვილი სრულებით არ არის მარტო ერთი კუთხის მწერალი. მის იმერელ აზნაურში ჩვენ ვხედავთ არა მარტო იმერელს, არა მარტო აზნაურს, არამედ კაცს მისი კაცური სისუსტით, უძლოურებით, ნაკლულევანებით. ვხედავთ როგორ აზნიქება ადამიანის სული, სანამ ახლად შექმნილ პი-რობებს შეეჩეოდეს; როგორ ეწყვეტება აქეთ-იქით, მახეში გაბმული ჩიტივით. და ჩვენი გული ადამიანის უძლოურებისა დატანჯვისადმი თანავრმნობით და სიბრალულით ივსება.

უველაზე მეტად სწორეთ ამით არის დასაფასებელი ჩვენ-თვის დ. კლდიაშვილი. იმას მივყევართ მსუბუქი გრძნობები-დან უმაღლესსა და უღრმესი გრძნობისაკენ.

ჩიტო.



რედაქციაში იყიდება სურათი
**ტარსულთა
ხსოვნას.**

ფასი 5 მან.



საქართველოს ნაკადების უფროსი

ჯ ე ჯ ი ბ ი

დარსებული 1890 წ.

მიღება ხელისმოვარა 1920 წ.

მთავრობის დამსახურებით ჯეკილი უზრუნველყოფილი იქნება.

ხელისმომწერლები დროულ მიღებაზე ეურნალის.

ეურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოსწრებილთათვის.

წლიურათ ელიტება 100 მანეთი.

ეურნალში მიანიჭიდებათ აღებენ საუკეთესო მაღალ და ახლიათ შემდგარი კომისია
შეცდება ეურნალის ნორჩ მკითხველებს მიაწოდოს საღი გონიერი საზრდო.

მისამართი: თბილისი, საქართველო ეურნალი - ჯეკილის "ჩედაჭერა" (აზტალერის ქ., № 5).
რედ.-გამ. ან. წერეთლისა.

1920
F 51